

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი –
საქართველოს სამოქმედო
გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში
2012 წლის 1 დეკემბერი - 2012 წლის 31 ოქტომბერი



ვიღწვით გარემოსდაცვითი და
სოციალური სამართლიანობისთვის
საქართველოში



მონიტორინგს ვუწევთ
საერთაშორისო საფინანსო
ინსტიტუტების საქმიანობას

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოკლედ აღწერს იმ პროგრესს, რომელსაც ქვეყანამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში მიაღწია 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდში.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებს სერიოზული ზემოქმედება ექნება გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორებზე საქართველოში. გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ძალამ, ქართულმა ოცნებამ, არჩევნების შემდეგაც ღიად განაცხადა, რომ გარემოსდაცვა დარჩება კოალიციის ერთ ერთ პრიორიტეტად.

საქართველოში გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში საკმაოდ კრიტიკული სიტუაციაა. ამასთან, ქართული საზოგადოება ითხოვს სწრაფ და მკვეთრ ცვლილებებს ახლად არჩეული პარლამენტისა და ახალი მთავრობისგან. იმისთვის, რომ აჩვენოს შედეგები, მთავრობამ შესაძლებელია დაიწყოს სწრაფი რეფორმების განხორციელება გარემოს დაცვის სექტორშიც. თუმცა, თუ გვინდა რომ თავიდან ავიცილოთ წარსული მწარე შეცდომები, რეფორმები უნდა განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების ჩართულობის, ღრმა დისკუსიებისა და უკვე განხორციელებული რეფორმების ანალიზზე დაყრდნობით¹.

გარემოსდაცვითი მმართველობა

დროს მოცემულ პერიოდში, გარემოსდაცვითი მმართველობა საქართველოში არ გაუმჯობესებულა. პარლამენტის მიერ მიღებულმა ცვლილებებმა გარემოსდაცვითი კანონმდებლობაში მნიშვნელოვნად შეასუსტა გარემოს დაცვის ჩარჩო კანონმდებლობა და დააკნინა დაცული ტერიტორიების სისტემის კანონი. სამწუხაროდ, პროცესი წარმოადგენს გარემოსდაცვითი

თბილისი, 0179, საქართველო
ვალთაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 29 27 73
ფაქსი: (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

¹ წინა წლების ანგარიშები ხელმისაწვდომია www.greenalt.org ზე

მმართველობის სისტემის რეფორმის ლოგიკურ გაგრძელებას, რომელიც ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო.

აღნიშნული სამთავრობო ინიციატივები წარმოადგენს ლოგიკურ გაგრძელებას ბოლო წლებში მიმდინარე პროცესებისა (რის შედეგადაც დღეს არსებული გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემა უკიდურესად სუსტია): გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ, წითელ ნუსხაში შეტანილ სახობებზე ნადირობის დაშვება, დაცულ ტერიტორიებზე და მათ უშუალო სიახლოვეს განვითარების პროექტების დაგეგმვა და განხორციელება გარემოსდაცვითი მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე, სატყეო რეფორმა, გარემოსა და მოსახლეობისთვის საზიანო ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტების ინიცირება და მხარდაჭერა გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური რისკების სატანადოდ გათვალისწინების გარეშე.

შეთანხმება გარემოს წინააღმდეგ

2012 წლის 20 მარტს მიღებულმა კანონმა „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“, შესაძლებელი გახადა დაინტერესებულ პირსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის უვადო შეთანხმების დადებას რომელიც დაინტერესებულ პირს, სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილი კომპენსაციის სანაცვლოდ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილი სამართალდაღვევებისთვის პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებს.

ამასთან, შეთანხმების ხელმოწერი დაინტერესებული პირი, თავისუფლდება ყოველგვარი ვალდებულებისგან, ჯარიმის ან/და ზიანის ანაზღაურებისგან, ასევე, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან. კანონი, აგრეთვე, კრძალავს დაინტერესებული პირის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ შემოწმებას.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტი:

- გამოიწვევს გარემოს შეუქცევად დეგრადაციას, საშუალებას აძლევს რა გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მქონე (ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურული დასხვ.) პროექტების განმახორციელებლებს არ დაიცვან გარემოსდაცვისა და მდგრადი განვითარების ფუძემდებლური პრინციპები, მათ შორის: რისკის შემცირების, მდგრადობის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ნარჩენების მინიმუმაციისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპები;
- ზღუდავს საზოგადოების წარმომადგენლების უფლებას გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე;
- არღვევს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს და ზრდის კორუფციული გარიგებების რისკს.

კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42 მუხლს, საქართველოს მიერ საერთაშორისო შეთანხმებებით აღებულ ვალდებულებებს, გარემოსდაცვისა და მდგრადი განვითარების საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებულ პრინციპებს, ასევე ევროკავშირის გარემოსდაცვით დირექტივებს; ზიანს აყენებს გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო მართვის ისედაც სუსტ სისტემას და კიდევ უფრო ამცირებს მის ეფექტურობას.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გააფორმა სააქციო საზოგადოება კომპანია "მადნეულსა" და შპს " კვარციტან, " რომლებიც ახორციელებენ ოქრო-სპილენძის-ბარიტის-პოლიმეტალური საბადოს ექსპლუატაციას. ხელშეკრულების თანახმად, 1.04.1994 დან 14.05.2011 მდე აღნიშნული კომპანიების მიერ განხორციელებული ყველა ქმედება გამოცხადდა კანონიერად. ამის საპასუხოდ, 2014 წლის მარტის ბოლომდე საწარმოები ვალდებულნი არიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადონ 13 მლნ ლარი და განახორციელონ გარკვეული გარემოსდაცვითი საქმიანობები. შეთანხმება გამოცხადდება ბათილად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ინვესტორი დაარღვევს დადგენილ გრაფიკს გადასახადთან მიმართებაში.

არსებობს ორი ძირითადი პრობლემა - 1) რომ კომპანიების მიერ გახორციელებული ყველა საქმიანობა აღიარებულია, როგორც კანონიერი და 2) რომ არავინ გააკონტროლებს შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას. გარდა ამისა, ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად მხოლოდ თანხის გადახდის გრაფიკის შემთხვევაში. მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ განახორციელებს შემარბილებელ ღონისძიებებს შეთანხმებასთან შესაბამისობაში? რაც ნიშნავს, რომ შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები უბრალოდ ფორმალურია. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ ამ კონკრეტულ საბადოს ექსპლუატაციასთან წლების განმავლობაში დაკავშირებულ პრობლემებს და მძიმე ზემოქმედებას გარემოზე და მოსახლეობაზე სიტუაციაა უსამართლოა.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განმარტებით, კანონში ცვლილების შეტანის მიზანი იყო ადგილობრივი საწარმოების მიერ გარემოსდაცვის გაუმჯობესება მათი დაჯარიმების გარეშე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი ინსტრუმენტი უკვე არსებობდა კანონმდებლობაში.

შესაბამისად, მადნეულის საბადოსთან მიმართებაში, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, არ გამოიყენა გარემოს დაცვის კანონის მე -9 მუხლი ზიანის მიყენების შესახებ, რომელიც საშუალებას აძლევს საწარმოებს მოლაპარაკებებზე წავიდნენ მთავრობასთან და მოილაპარაკონ შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა, რომლის განხორციელებისას მონიტორინგი განხორციელდება სამინისტროს მიერ. ამასთან, დაინტერესებული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მოექცევა მე-9 მუხლის ქვეშ, არ გამოცხადდება ანონიერად მხოლოდ იმიტომ, რომ კომპანიამ ფული გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც ეს ხდება ახალი, მე -10 მუხლის პირობებში².

² 2012 წლის ივნისში რუსეთის კაპიტალ გრუპმა შეისყიდა მადნეულისა და კვარციტის საწარმოები მეორე რუსული კომპანიისგან გეოპრომაინინგსგან, რომელიც ფლობდა საწარმოებს 2005 წლიდან.

გარემოსდაცვით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, რომელთაც უარყოფითი ზეგავლენა აქვს დაცული ტერიტორიების სისტემაზე და ბიომრავალფეროვნებაზე.

მოცემული პერიოდის განმავლობაში, პარლამენტმა მიიღო რამდენიმე კანონი, რის შედეგადაც მოხდა დაცული ტერიტორიებიდან ტერიტორიების ამორიცხვა.

ყაზბეგის ეროვნული პარკის შემცირება

2012 წლის თებერვალში, პარლამენტმა მიიღო ცვლილებები დაცული ტერიტორიების სისტემის კანონში და ამოირიცხა 9 ჰა. ეს განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ გარემოსდაცვის სამინისტრომ 2011 წლის ნოემბერში გასცა დადებითი გარემოსდაცვითი ნებართვა დარიალის ჰიდროსადგურის მშენებლობის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, რაც წარმოადგენს დაცული ტერიტორიების სისტემის კანონის მე-5 და მე-20 მუხლების დარღვევას.

დამატებით, დაცული ტერიტორიების სისტემიდან ტერიტორიის ამორიცხვა ინიცირებული იყო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, თუმცა კანონის მე-14.2 მუხლის მიერ, დაცული ტერიტორიიდან ტერიტორიის მუდმივი ან დროებითი ამორიცხვა უნდა მოხდეს მხოლოდ გარემოსდაცვის სამინისტროს წარდგინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა სრულად შეცვლის დარიალის ხეობის ლანდშაფტს, ვინაიდან რეგიონის მთავარი მდინარე - თერგი, ფაქტობრივად დარჩება წყლის გარეშე, რაც სრულად უზღუდვებელყოფს მის კულტურულ-ეთნიკურ და ტურისტულ ღირებულებებს. პროექტის შედეგად, სრულად განადგურდება ნაკადულის კალმახი, რომელიც წითელ სიაშია შეტანილი³.

კოლხეთის ეროვნული პარკის შემცირება

კოლხეთის დაცული ტერიტორიების კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად 842 ჰა ამოირიცხა ტრადიციული გამოყენების შედეგად. ცვლილებების მიზეზი იყო ანაკლია-ფოთის გზატკეცილის მშენებლობა. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ უკვე 2011 წლის ნოემბერში, ზემოთხსენებული 842 ჰა უკვე ამორიცხა მკაცრი დაცვის ზონიდან და გადაიტანა ტრადიციული დაცვის ზონაში. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ გზატკეცილებისა და აეროპორტების მშენებლობა ასევე აკრძალულია ტრადიციული გამოყენების ზონაში, მთავრობამ ასე გამოასწორა ადრე დაშვებული „შეცდომა“.

კანონის ცვლილებებთან დაკავშირებულ განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ ცვლილებების მომზადებისას ავტორებს არ გაუვლიათ კონსულტაციები არც არასამთავრობო ორგანიზაციებთან, და არც დამოუკიდებელ ექსპერტებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან, დოკუმენტი აჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობამ დაარღვია ორპუსის კონვენცია გარემოს დაცვითი ინფორმაციის, საზოგადოების მონაწილეობისა და სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის შესახებ.

³ http://www.greenalt.org/webmill/data/file/fact_sheet_re_Dariali_hpp_July_2012.pdf

შეტანილი ცვლილებების შედეგად, 842 ჰა ამოირიცხება კოლხეთი ეროვნული პარკის შუაგულიდან, რასაც ასევე ექნება საკმაოდ მნიშვნელოვანი ზემოქმედება არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე, რომელიც ასევე დაცულია რამსარის კონვენციის, ბერნის კონვენციის მიერ, ხოლო განხორციელებული ქმედებები ეწინააღმდეგება ევროკავშირის ჰაბიტატებისა და გარემოზე ზემოქმედების დირექტივებს.

ლაზიკა, კოლხეთის ეროვნული პარკი და რამსარის კონვენცია

ქალაქ ლაზიკას საკითხი ასევე სულ უფრო და უფრო პრობლემატური ხდება, განიხილება საკონსტიტუციო ცვლილებების შესაძლებლობა, რომელთან თანახმადაც სწორედ კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს ლაზიკას სტატუსი, თუმცა ჯერ კიდევ გადაუჭრელია ქალაქი ზუსტი მდებარეობის საკითხი.

მთავრობის მიერ დაწყებულია იუსტიციის სახლისა და გზის მშენებლობა, ხორციელდება კოლხეთის ეროვნული პარკის უშუალო სიახლოვეს, რომლის ტერიტორია დაცულია რამსარის კონვენციით. წესების თანახმად, საქართველოს მთავრობამ უნდა შეეტყობინებინა რამსარის კონვენციის სამდივნოსთვის ლაზიკის მშენებლობის დაწყების შესახებ, როგორც კი წარმოიშვა იდეა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა.

თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, სად ამენდება ლაზიკა, საქართველოს პრეზიდენტი თავის გამოსვლებში ყურადღებას ამახვილებს ჭაობების დაშრობის აუცილებლობაზე დიდი ქალაქის ასაშენებლად. პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული ზემოქმედების შეფასება საქართველოში არ გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონი ერთის მხრივ ძალიან სუსტია, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს შეუძლია გაანთავისუფლოს განმახორციელებელი ნებისმიერ ეტაპზე. ყველაფერი ეს ქმნის საშიშროებას, რომ შავი ზღვის სანაპიროს ჭაობების ზოგიერთი ეკოსისტემა შეიძლება განადგურდეს რასაც უარყოფითი ზეგავლენა ექნება როგორც სანაპირო ზოლზე ასევე აქ მაცხოვრებლებს.

2011 წლის დეკემბრის ბოლოს, ახალი წლის წინა დღეებში, საქართველოს მთავრობამ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველებზე ნადირობის დაშვების მიზნით რამდენიმე ნორმატიული აქტი გამოსცა.

ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით შემამფოთებელია იმ ფონზე, როდესაც მთავრობას არანაირი მექანიზმი არ აქვს შემუშავებული ნადირობისათვის ნებადართულ ტერიტორიებზე კონტროლის, მონიტორინგის, ბრაკონიერობასთან ბრძოლის, ცხოველთა დაცვისა და აღწარმოებისთვის; არ არსებობს არანაირი მონაცემი სანადირო ობიექტების სიაში შეტანილი სახეობების რიცხოვნობისა და პოპულაციების მდგომარეობის შესახებ.

შედეგად გამოუსწორებელი ზიანი მიადგება საქართველოს უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას; მოკლე ხანში შესაძლებელია კრიტიკულ დონემდე შემცირდეს საქართველოში ნიაშორის, ირმის, აღმოსავლეთ

და დასავლეთ კავკასიური ჯიხვის, არჩვის, დათვის პოპულაციები. ამასთან, გადაწყვეტილებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ბოლო

წლებში დაცული ტერიტორიების სისტემისა და ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით მიღწეულ წარმატებებს; შესაბამისად, დონორების

მიერ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის დახარჯული არაერთი მილიონი დოლარი პრაქტიკულად წყალში ჩაიყრება.

სატყეო პოლიტიკა

2011 წლის ზაფხულში ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დაწყებულ იქნა სატყეო რეფორმა, რომელიც არ იქნა დასრულებული 2012 წლის განმავლობაში, რაც იყო საზოგადოების ზეწოლისა და დონორების მიერ გამოთქმული შემფოთების შედეგი, მათ შორის არსებული დისბალანსი ტყის მოხმარებას და კონსერვაციას, ახალი დაცული ტერიტორიების დაარსებისთვის ხელის შეშლა, მეწარმის მიერ ინვენტარიზაციის განხორციელება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების არქონა, მიწის კატეგორიების ცვლილება და არაგამჭვირვალე პრივატიზაცია, ტყეების ფართო მასშტაბიანი ლიზინგის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, სამინისტრომ შემოიტანა მთელი რიგი ცვლილებები ტყის მოხმარების წესებში. მათ შორის: გააუქმა წარმოშობის დოკუმენტი, რესურსების ელექტრონული აღრიცხვის მოთხოვნა, გაზარდა ტყეკაფები, ასევე ლიმიტები შეშაზე და სოციალური ჭრების ოდენობა. ასევე დასაშვებად მიიჩნიეს, რომ შესაზღვრელია ადამიანები კომერციული მიზნებით განკარგონ სოციალური ჭრები. შედეგად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ და მერეც, ე.წ. გარდამავალ პერიოდებში, მთელ რიგ რეგიონებში, მათ შორის მთაში, გაიზარდა არაკონტროლირებადი და არამდგარდი ჭრების ოდენობა, რამაც მოსახლეობის შემფოთება გამოიწვია.

საპარლამენტო არჩევნების წინ ტყის მოხმარების წესების ცვლილებას ჩვენ განვიხილავთ, როგორც მმართველი პარტიის მიერ ამომრჩევლების გადაბირების ინსტრუმენტს. აღსანიშნავია, რომ იგივე ინსტრუმენტი შემოღებული იქნა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რამაც ასევე გამანადგურებლად იმოქმედა საქართველოს ტყეებზე.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე პროექტების დაწყების პრაქტიკა

2012 წლის 23 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო ნენსკრა ჰესის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში.

ნენსკრას პროექტის მშენებლობა სეზონური რეგულირების, 300 მეგავატი სიმძლავრის ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციას ითვალისწინებს. მშენებლობა ორ ფაზად განხორციელდება: თავდაპირველად, მდ. ნენსკრაზე აშენდება 210 მგვტ სიმძლავრის ჰესი და მოეწყობა 130 მ სიმაღლის

ქვანყარი კაშხალი, ასევე 200 მლნ კუბური მეტრის წყლის რეზერვუარი (რეზერვუარის სარკის ფართობი 3.7 კმ²) სოფელ ტიტადან (ჭუბერის თემი) 10 კმ-ში. მეორე ფაზაზე, კი იგეგმება მდ. ნაკრას წყლის 11.8 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბის საშუალებით მდ. ნენსკრას ხეობაში გადმოგდება და დამატებით 90 მგვტ სიმძლავრის გამომუშავება.

პროექტის განხორციელებას მკვეთრად უარყოფითი ზეგავლენა ექნება როგორც ნაკრის, ისე ნენსკრას ხეობებზე და მდინარეების ეკოსისტემაზე. სვანეთის მაღალმთიანეთში გაიჩეხება 400 ჰა-მდე ხელუხლებელი ტყე და სრულად შეიცვლება არსებული ბუნებრივი ლანდშაფტი. ნენსკრასა და ხუდონზე დაგეგმილი რეზერვუარების ერთობლივი ზემოქმედება, ადგილობრივი კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით, გააუარესებს ადამიანთა ჯანმრთელობას და გამოიწვევს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ცვლილებას. მნიშვნელოვნად გააქტიურდება პროექტის უშუალო ზემოქმედების არეალში არსებული მყინვარების დნობის პროცესი (5 კმ-ის რადიუსში 2.30 გაიზრდება საშუალო წლიური ტემპერატურა). ამას გარდა, პროექტი ითვალისწინებს 330,000 მ³ გამომუშავებული ქანების განთავსებას პროექტის მიმდებარე ბუნებრივ ხევში და ხევის ფერდობების მცენარეული საფარისაგან სრულად გაწმენდას.

2012 წლის 23 თებერვალს, მესტიაში ჩატარებულ საჯარო განხილვაზე, მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად გამოხატავდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ნენსკრა ჰესის მშენებლობის მიმართ.

ობიექტს ჯერჯერობით არ მიუღია არც გარემოზე ზემოქმედების და არც სამშენებლო ნებართვა; ამდენად, საქართველოს პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო არალეგალური მშენებლობის გახსნაში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტი, თავისი გადაწყვეტილებით განახორციელა ზეწოლას ნებართვის გამცემ სტრუქტურებზე.

კინტრიში ჰესი

კინტრიშის ჰესის პროექტი განხორციელება განსაზღვრულია საქართველოს მთავრობისა და აჭარა ენერჯია 2007 მიერ 2008 წლის 28 თებერვალს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. კინტრიშის ჰესის გარდა, მემორანდუმი გულისხმობს, 7 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას (ქობულეთი I ჰესი -13.30 მეგავატი, ქობულეთი II -14.30 მეგავატი, კირნათი ჰესი -14.40 მეგავატი, ხელვაჩაური ჰესი -22.40 მეგავატი, ჭოროხი I - II - 48.00 მეგავატი). მედიის ცნობით, აჭარა ენერჯია 2007-მა უარი განაცხადა სამი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, მათ შორის კინტრიშის ჰესზე, რაც ახნა მათი უშუალო სიახლოვით დაცულ ტერიტორიებთან⁴.

თუმცა 2012 წლის იანვარში, საქართველოს მთავრობამ და კომპანია ჰიდროდეველოპმენტმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს 5 მეგავატი დადგმული სიმძლავრის კინტრიშის ჰესის

⁴ გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 27 ივნისი, 2009, თავისუფალი სიტყვა, 17 აპრილი 2012, გაზეთი ბათუმელები 28-მაისი02 ივნისი, 2012

მშენებლობაზე. ენერგეტიკის სამინისტროს ვებ გვერდზე დაყრდნობით 2012 წლის 25 მარტს კომპანიას უნდა დაეწყო მშენებლობა და მართლაც ასე მოხდა. კომპანიამ გაზაფხულზე დაიწყო სამშენებლო სამუშაოები ისე რომ მას არ გააჩნდა არც სამშენებლო ნებართვა და არც გარემოსდაცვითი ნებართვა. ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი გამოქვეყნდა საზოგადოებრივი განხილვისათვის მხოლოდ 2012 წლის აგვისტოში⁵⁶.

საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ცვლილების პროცესში

გარემოსდაცვის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, მათ შორის წითელ წიგნში შეტანილ სახეობებზე ნადირობის დაშვება, ყაზბეგისა და კოლხეთის ეროვნული პარკების ტერიტორიების ცვლილება, გარემოზე მიყენებული ზარალის საკომპენსაციო შეთანახმება და სხვ. ყველა ეს ცვლილება მომზადდა საზოგადოების ჩართულობის გარეშე. ყოველივე ეს აღძრავს სერიოზულ და საფუძვლიან ეჭვს, რომ კონკრეტული ჯგუფების ინტერესების ლობირება ხდებოდა მთავრობის მხრიდან.

2012 წლის განმავლობაში არ შეიმჩნეოდა პროგრესი ორჰუსის კონვენციის განხორციელებაში, და საზოგადოების უფლებები პერმანენტულად ირღვეოდა. კვლავაც პრობლემატურია ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე. მათ შორის, პრობლემატურია სამთავრობო განკარგულებების მოპოვება, მათ შორის იმ განკარგულებებისა, რომლებიც ასახავს საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროექტებისთვის განსაზღვრული თანხების ოდენობას, და რომლებიც უნდა რუტინულად ქვეყნდებოდეს, სასამართლოს გზითაც კი ხშირად შეუძლებელია მოპოვება.

სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველომ უნდა „გადადგას ნაბიჯები გარემოს დეგრადაციის პრევენციისთვის, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის იოჰანესბურგის სამიტის ვალდებულებებთან შესაბამისობაში“.

ურბანულ დაგეგმვასა და ქალაქების მწვანე საფართან დაკავშირებული წუხილები

მწვანე საფარის თემა კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება საქართველოს ყველა ძირითად ქალაქში, მათ შორის თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. ადგილობრივი მოსახლეობა პრეტენზიებს გამოთქვამს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება ქალაქის შუაგულში ხეების, პარკების და სკვერების გაჩეხვაში. ამ ქმედებების განხორციელებისას არ ხორციელდება კონსულტაციები საზოგადოებასთან, ხოლო სასამართლოსადმი მიმართვა პრობლემატურია და არაეფექტური.

ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, ბათუმის ბულვარში, თბილისში კიკვიძის და დედა ენის ბაღში ხეების გაჩეხვამ გამოიწვია მოსახლეობის დიდი გულისწყრომა. მიუხედავად, საზოგადოების ზეწოლისა, 2011

⁵ თავისუფალი სიტყვა, ბათუმელები, რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაცია, მასეტრო

⁶ ქობულეთის მუნიციპალიტეტის წერილი 2012, მაისი 16 და წერილი გარემოსდაცვის სამინისტროდან 23 აპრილი, 2012,

წლის 11 სექტემბერს თბილისის საკრებულომ გაუუქმა სტატუსი 20 მდე რეკრაციული ზონას, მათ შორის დიღმის ტყე პარკს, და მიანიჭა საზოგადოებრივ ბიზნესის და საზოგადოებრივ საცხოვრებელი სტატუსი. მიუხედავად, უამრავი პეტიცისა და სასამართლოებისა, რომელიც ინიცირებული იყო არასამთავრობოების მიერ შეუძლებელი გახდა ამ ზონებისთვის რეკრაციული სტატუსის დაბრუნება.

ამასთან, თბილისის მერთან ვერ შედგა შეხვედრა რათა განხილულიყო თბილისში არსებული მდგომარეობა, მათ შორის კორუფცია რომელიც თან ახლავს თბილისში ხეების ჩეხვისა და მათი ახალი ნარგავებით ჩანაცვლებას⁷.

ყოველივე ეს ძირს უთხრის მერების კლიმატის შეთანხმებას, რომელიც ემყარება ოლბორგის ვალდებულებს და ადგილობრივ დღის წესრიგს 21; თბილისის მთავრობის მიერ შემუშავებული მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა 2011- 2020 წლების, ასევე უსვამს მწვანე სივრცეების განვითარების აუცილებლობას, როგორც გარემოსდაცვითი კუნძულების და ხეების ინტენსიური დარგვის სავარჯიშოს. თუმცა თბილისის მთავრობის ქმედება, მათ შორის საზოგადოების მონაწილეობის უგულვებელყოფა და ხეების ფართო გაჩეხვის ტენდენცია ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ მუნიციპალიტეტი ასევე არ არის დაინტერესებული მერების შეთანხმების განხორციელებით⁸.

კარგ მმართველობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ახალი მინისტრების დანიშვნის საკითხმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ინტერესთა კონფლიქტისა და მრუნავი კარის რეგულირების საკითხების არასრულყოფილებასა და არაეფექტურობას ქართულ კანონმდებლობაში. ენერგეტიკის მინისტრად დასახელებული კახი კალაძე სს "საქპროენერგომშენის" წილის მფლობელი აღმოჩნდა, რის შესახებაც მას წარდგენისას არ განუცხადებია. კალაძის კვიპროსზე რეგისტრირებული კომპანია KALA CAPITAL LIMITED- არის საქართველოში რეგისტრირებული შპს "კალა კაპიტალის" მთლიანი წილის მფლობელი, ეს უკანასკნელი კომპანია კი "საქპროენერგომშენის" 45 %-ს ფლობს. "კალა კაპიტალს" ეკუთვნის ასევე კომპანიები: "კალა ენერჯი ენდ ნეჩურალ რესურსი" და "კალა იმპექსი." ინფორმაციამ გაიჟონა მედიაში, და ამის შემდეგ კალაძემ განაცხადა რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ის გაყიდის ამ კომპანიის აქციებს ათი დღის ვადაში, მას შემდეგ რაც პარლამენტი დაამტკიცებს.

მრუნავი კარის და ინტერესთა კონფლიქტის საკითხები უნდა უფრო მკაფიოდ და თანმიმდევრულად იყოს დარეგულირებული კანონმდებლობის დონეზე. არის უამრავი შემთხვევა როდესაც მთავრობის წარმომადგენლები გასცემენ ნებართვებსა და ლიცენზიებს, და შემდეგ გადადიან მაღალ თანამდებობებზე იმავე კომპანიებში რომლებზეც გასცეს ნებართვა ან ლიცენზია. მიუხედავად, იმისა რომ კანონის თანახმად, ამ შემთხვევაში საჯარო მოხელეს არა აქვს უფლება სულ მცირე სამი წლის განმავლობაში არ განახორციელოს მსგავსი ტრანსაქცია, თუმცა არ არსებობს არანაირი დასჯა დარღვევისთვის. იმ შემთხვევებშიც კი როდესაც არასამთავრობოები საჯაროდ სვამენ საკითხებს და სთხოვენ პროკურატურას

⁷ <http://transparency.ge/en/blog/expensive-trees-baratashvili-street>

⁸ http://helpdesk.eumayors.eu/docs/seap/1537_1520_1303144302.pdf

გამოიძიონ მსგავსი ქმედებები, არანაირი ღონისძიებები არ ხორციელდება. ამასთან, სიტუაცია საკმაოდ სერიოზულია, ვინაიდან მთავრობის წარმომადგენლები არ თვლიან რომ ინტერესთა კონფლიქტი არის პრობლემა. მაგ. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე, ქ-ბ მარიამ ვალიაშვილი პარალელურად მუშაობდა კომპანია ტოტ ენერჯის ხელმძღვანელად 2008 წლის 16 ივნისად 2011 წლის 16 სექტემბრამდე, როდესაც კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ შევიდა გაცხადება საჯარო რეესტრში. საინტერესოა რომ მ.ვალიაშვილის შემოსავლებისა და ქონების დეკლარაციაში ეს თანამდებობა საერთოდ არ იყო ასახული. ამასთან, კომპანია ტოტ ენერჯის 25% ეკუთვნოდა კალა ენერჯი და ნატურალს. ქ-ბ ვალიაშვილი ასევე დაინიშნა ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მოადგილე.

ენერგეტიკა და ტრანსპორტი

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული გარკვეული დადებითი ძვრებისა, საქართველოში კვლავაც პრობლემურია ენერგეტიკული სისტემის მდგრადობა. მთავარ პრობლემებს შორის გამოსაყოფია მიწოდების უსაფრთხოება; გარემოსდაცვითი სტანდარტების ინტეგრირება, როგორც ენერჯის გამომუშავებისას, ისე მისი მოხმარებისას; ასევე, კონკურენტუნარიანი სისტემების განვითარება მომხმარებლისთვის ენერჯის ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების მიზნით. დღეს საქართველოს ენერგობალანსი 65% ზე მეტი მთლიანადაა დამოკიდებული იმპორტირებულ ორგანულ საწვავზე, 20% ენერჯისა მოდის დენზე რომელსაც გამოიმუშავენ ჰიდროელექტროსადგურები, ხოლო 15% შეადგენს შუშის მოხმარება. იმპორტირებული ენერგომატარებლების მაღალი ღირებულება, ზრდის ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების რისკს, ხოლო ენერგოინტენსივობის მაჩვენებელი აღემატება ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს

მიუხედავად, 2004-2011 წლებში გადადგმული ნაბიჯებისა, საქართველოს ენერგეტიკა ჯერ კიდევ სრულად არის დამოკიდებული იმპორტირებულ ორგანულ საწვავზე. 2006-2009 წლების ენერგობალანსი მცირე ცვლილებების გარდა პრაქტიკულად ერთგვაროვანია. მშპ-ს ერთ ერთეულზე ენერჯის წილი სამჯერ მაღალია საშუალო ევროპულზე.

საქართველოს მთავრობა მიმართავს თავის ძალებს ენერგო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ (გადამცემი ხაზები, ახალი ჰიდროების მშენებლობა). მიუხედავად სამოქმედო გეგმით, გაწერილი ენერგოკანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის ვალდებულებისა, ძალიან მცირე პროგრესი იქნა მიღწეული ამ მხრივ, ასევე არ გადადგმულა ნაბიჯები საქართველოს ევროპის ენერგოაერთიანებაში გაწევრიანებისთვის⁹.

დარიალის ჰიდროელექტროსადგური

დარიალის ჰიდროელექტროსადგურის (ჰესი) პროექტი ითვალისწინებს მდინარე თერგზე, დარიალის ხეობაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 110 მეგავატი

⁹ საქართველომ გამოთქვა სურვილი გახდეს ევროპის ენერგოაერთიანების სრულყოფილი წევრი

დადგმული სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობას. ჰესი ენერგოსისტემას მიუერთდება დარიალის 110 კვ-იანი ხაზით, რომელიც აერთებს საქართველოსა და რუსეთის ენერგო-სისტემებს. პროექტს ახორციელებს კომპანია „დარიალი ენერჯი“.

ჰესის მშენებლობა „დარიალი ენერჯიმ“ 2011 წლის სექტემბერში შესაბამისი ნებართვების გარეშე დაიწყო. მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს მიმართა, რათა მათ შეესწავლათ სამშენებლო სამუშაოების კანონიერება და მიეღოთ შესაბამისი ზომები.

თავდაპირველად, ორივე უწყების პასუხი იყო, რომ შეისწავლიდნენ საკითხს. მიმართვიდან ორი თვის შემდეგ კი, მას მერე რაც შესაბამისმა უწყებებმა სასწრაფოდ გასცეს საჭირო ნებართვები, ორივე სამინისტრომ განაცხადა, რომ კომპანიას მოპოვებული აქვს მშენებლობისთვის საჭირო ნებართვები. ყურადსაღებია, რომ ნებართვის გარეშე ჰესის მშენებლობის დაწყება, ისევე როგორც ამ დარღვევის რეაგირების გარეშე დატოვება, საქართველოს კანონმდებლობით, სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. ვინაიდან არცერთმა უწყებამ კანონდარღვევაზე რეაგირება არ მოახდინა, არსებობს ძალზე დიდი ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფო უწყებები მომავალშიც დახუჭავენ თვალს მშენებლობისა და ოპერირების პროცესში „დარიალი ენერჯის“ მიერ ჩადენილ შესაძლო სამართალდარღვევებზე.

2011 წლის ნოემბერში „დარიალი ენერჯიმ“ გარემოს დაცვის სამინისტროში წარადგინა დარიალის ჰესის პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიში - ამ ანგარიშის წარდგენა აუცილებელია სამინისტროსგან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (ანუ პროექტის განხორციელების ნებართვის) მისაღებად. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ჰესის საპროექტო არეალი მოიცავდა ყაზბეგის ეროვნული პარკის 2.64 ჰა ფართობის ტერიტორიას. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვის სამინისტრომ მაინც გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე და ამით დაარღვია კანონმდებლობის მოთხოვნები. საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აკრძალულია ჰესის მშენებლობა. მიუხედავად ამისა, დარიალის ჰესის პროექტი დაიგეგმა იმგვარად, რომ საპროექტო არეალმა მოიცვა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიის ნაწილი.

ბაზვი ჰესი 3

2012 წლის 30 სექტემბერს, მეწყერმა სრულად დააზიანა ბაზვი ჰესის სამანქანო ნაგებობა, რომელიც აშენდა 2009 წლის შემდეგ. პროექტის სპონსორის ინიციატივით დაახლოებით 8 მილიონ აშშ დოლარი უკვე ინვესტირებულია და 2012 წლის ბოლოსთვის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო. აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვისა და მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო, წლების განმავლობაში გარემოსდამცველები აპროტესტებდნენ ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა მდ. ბაზვისწყალზე. მთავარი პრობლემა იყო პროექტის ადგილთან დაკავშირებული გეოლოგია, არსებული მეწყერები და გაზრდილი ტყის ჩეხვა მთის ფერდობებზე. პირწმინდა ჭრების შედეგად განვითარებული მეწყერი სამანქანო შენობის უკან იყო და შენობასთან ერთად გაანდგურა ბაზვის ხეობა სოფელ უკანავთან.

საქართველოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, ძალიან ხშირად კომპანიები ჩქარობენ მშენებლობის დაწყებას, ვინაიდან მშენებლობის დაწყებისა და დასრულების თარიღები მკაცრადაა განსაზღვრული ურთიერთგაგების მემორანდუმებში ენერგეტიკის სამინისტროსთან. ასევე გარემოსდაცვის სამინისტრო ხშირად გამოსცემს, ე.წ. პირობით გარემოსდაცვით ნებართვებს, და მოითხოვს გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევების წარმოებას უშუალოდ მშენებლობამდე. ამასთან, გარემოსდაცვის სამინისტროს არ გააჩნია რესურსები პირობითი ნებართვების შესრულების მონიტორინგისთვის¹⁰.

ხუდონის ჰესი

ხუდონჰესის მშენებლობის დაწყება გამცხადდა 2012 წლის მარტში, კომპანია ტრანელექტიკასა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების თანამხად, მიუხედავად, იმისა რომ გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვა გაცემული არ იყო. უფრო მეტიც, კომპანიამ 2012 წლის ნოემბერში განაცხადა სკოპინგის შეხვედრების საზოგადოებასთან. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით უკვე 2011 წლის ნოემბერში დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. თუმცა 2012 წლის თებერვალში, ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, წყალდიდობის გამო ხელშეკრულება გაგრძელდა 6 თვით. 2012 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, და გამოცხადებულ იქნა რომ ოქტომბრის ბოლოს მოეწყობოდა შეხვედრები საზოგადოებასთან. თუმცა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, კომპანიამ განაცხადა რომ საზოგადოებასთან განხილვები გადაინაცვლებს დეკემბრის ბოლომდე.

ნამახვანის ჰესების კასკადი

2011 წლის 17 ოქტომბერს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ბაზაზე, შეიქმნა 100% სახელმწიფოს წილის მქონე სააქციო საზოგადოება ნამახვანი. ახლად შექმნილი ორგანიზაციის მიზნად განისაზღვრა 800 მლნ აშშ დოლარი ღირებულების ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობა.

2012 მაისი - ივნისში, ნამახვანის ჰესების კასკადის მიმდებარე სოფლებში გამოჩნდნენ უცნობი ადამიანები, რომელთა განცხადებით ისინი ახორციელებენ ადგილობრივი მოსახლეობის მიწებისა და საკუთრების აღწერას, ხშირად მფლობელთა ნების საწინააღმდეგოდ. ივლის-აგვისტოში უცნობი პირები მოითხოვდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან ხელმოწერას ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად მფლობელი ყიდიდნენ თავის ქონებას ნამახვანის ჰესების ასაშენებლად, თუმცა ხელშეკრულების ასლებს არ უტოვებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. რამოდენიმეჯერ, ამ პირებმა თავი წარადგინეს როგორც ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა, რომელთა განცხადებით ნამახვანის ჰესების კასკადი წარმოადგენს სახელმწიფო პროექტს, და მხოლოდ ისინი ვინც მოაწერა ხელი ხელშეკრულებას მიიღებენ სახლებს ფოთში, ანაკლიასა ან ქუთაისში, ასევე კომპენსაციას დაკარგული ქონების სანაცვლოდ. ხოლო ის ადამიანები ვინც უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე არ მიიღებენ კომპენსაციას.

¹⁰ http://www.guriismoambe.com/index.php?m=68&news_id=4666

მოსახლეობის ნაწილმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს, ვინაიდან მათ შეეშინდათ რომ დარჩებიან კომპენსაციის გარეშე. მედიის ანგარიშების თანახმად, მაღალი რანგის თანამდებობის პირები ენერგეტიკის სამინისტროდან ასევე სტუმრობდნენ მიმდებარე სოფლს, მხარს უჭერდნენ ჰესების კასკადის მშენებლობას და სთავაზობდნენ მოსახლეობას გადასახლებისთვის სხვადასხვა ალტერნატივებს¹¹.

2012 წლის 10 აგვისტოს ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ გამოითხოვა ახსნა-განმარტება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ასევე სს“ნამახვანისგან“, რათა გაერკვია აქ არსებული პრობლემები და დაეცვა მოსახლეობა.

2012 წლის 12 სექტემბერს, მრავალჯერადი შეხსენების შედეგად, სს „ნამახვანის“ დირექტორისგან მიღებული პასუხის თანახმად, ზემოთაღნიშნული ქმედებები ნამახვანის მიმდებარე ტერიტორიებზე ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 სექტემბრის დადგენილების თანახმად, რაც მოითხოვდა სააქციო საზოგადოებისგან განსახლების გეგმის შემუშავებას¹².

მტკვარი ჰესი

მტკვარი ჰესის მშენებლობა დაიწყო 2009 წლის აპრილში. თუმცა 2012 წლის აპრილში მშენებლობა შეწყდა. ოფიციალური ინფორმაციით, ინვესტორებმა მიატოვეს პროექტი, თუმცა მიზეზი უცნობია.¹³

¹² <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/10443/>

¹³ <http://sknews.ge/index.php?newsid=673#.Uxib-fmSySq>